

დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი

„ოპიზარი“ დირექტორის

2016 წლის 17 სექტემბრის ბრძანება # 101-ით.

პროფესიათა ჩამონათვალი და საგანმანათლებლო პროგრამების მოკლე აღწერილობა

კ ა ტ ა ლ ო გ ი

2016

ახალციხის #101 საშუალო პროფესიული სასწავლებელი და #122 ტექნიკური სასწავლებელი დაარსდა 1977 -1978 წელს, ხოლო 1995 წლიდან- ამ ორი სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა პროფესიული ლიცეუმი.

2011 წლამდე სასწავლებელმა გაიარა სხვადასხვა ეტაპები და იცვლებოდა სტატუსი და არსებული სტატუსის მქონე სასწავლებლების ბაზაზე 2011 წლის #68/ნ 06,05,2011წ. ბრძანებით შეიქმნა პროფესიული კოლეჯი „ოპიზარი“. საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“ შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 20 ივნისის # 74/ნ ბრძანებით, პროფესიული კოლეჯის „ოპიზარი“ ბაზაზე. კოლეჯი მრავალდარგოვანია, რასაც ხელი შეუწყო „საქართველოს რეგიონალური განვითარების 2013-2017 წ.წ. სახელმწიფო სტრატეგიის“ განსაზღვრამ. რამაც თავის მხრივ განსაზღვრა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მრავალმხრივი განვითარების პროექტების განხორციელება, რაზედაც დამოკიდებულია შრომის ბაზრის მოთხოვნა, ხოლო ამ მოთხოვნიდან გამომდინარე კვალიფიციური მუშახელის მიწოდება.

კოლეჯის მრავალდარგობრიობის საშუალებას იძლევა 2006-2007 წლებში საქ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სასწავლო კორპუსის რეაბილიტაცია და შესაბამისი აღჭურვა სწავლებისთვის საჭირო ინვენტარითა და დაზგა-დანადგარებით. მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამების სწავლების ხარისხის გარანტიაა ქვეყანაში არსებული პროფესიული სტანდარტი და საგანმანათლებლო პროგრამები, სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მიზანდასახულად ახორციელებს პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობ სხვადასხვა სახისა და შინაარსის პროექტებს, მოიზიდავს დონორ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

კოლეჯი მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მნიშვნელოვან ეკონომიკურ-გეოგრაფიულ ტერიტორიაზე. ქ. ახალციხეში რუსთაველის #106. ხოლო ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე გააჩნია 40,1 ჰა სას. სამ. და სათიბი მიწის ნაკვეთი. სამცხე-ჯავახეთში 4303 მოქმედი მცირე და საშ. საწარმოა. (ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ბორჯომი, ნინოწმინდა, ახალქალაქი) მოსახლეობა შეადგენს 208,888 მათ შორის შრომითი რესურსი 125.000 კაცია. რომელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება რეგიონის მოსახლეობის უმუშევართა რიცხვს მკვეთრად შეამცირებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონში მცხოვრები სომხური მოსახლეობისთვის კოლეჯში არსებულ სპეციალობებზე სწავლება რადგან მათთვის, ვიდრე სახელმწიფო ენის ცოდნა ჯერ კიდევ პრობლემატურია და ურთულეს აკადემიური განათლების მიღებას, შედარებით ადვილად ეუფლება პროფესიული კოლეჯის პრაქტიკულ კომპეტენციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი სასწავლებლის არაქართველ სტუდენტ-მსმენელთა კონტიგენტი 25 %-ს შეადგენდა, მსმენელთა საერთო რაოდენობიდან.

კოლეჯისათვის რეგიონში ამჟამინდელი და დაგეგმილი პროექტები დასაქმებისთვის სერიოზულ რესურსს იძლევა. ამდენად საქართველოს რეგიონალური განვითარების 2013-2017 წ.წ. სახელმწიფო სტრატეგიის გამოწვევის საფუძველზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კოლეჯის ქმედუნარიანობისა და პოტენციალის განვითარებისათვის, მისი საქმიანობის მომავალი წლების სტრატეგიული დაგეგმვა. სადაც განისაზღვრება მისი მისია, ხედვა, ღირებულებები და ყოველწლიური კონკრეტული ქმედებები სტრატეგიული მიზნის მისაღწევად.

2015 წელს კოლეჯმა განახორციელა EFQM-ის გზით სრულყოფაზე ორიენტირებულ განვითარებასთან დაკავშირებული განაცხადის წარდგენა და გახდა შესაბამისი სერტიფიკატის მფლობელი.

საზოგადოებრივი კოლეჯი „ოპიზარი“ სთავაზობს საუკეთესო სასწავლო პირობებს როგორც საბაზო, ასევე საშუალო განათლების მქონე პირებს.

კოლეჯში ხორციელდება II-III-IV-V საფეხურის 5 მოდულური, ერთი დუალური და 19 საგნობრივი საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამები, რომელთა დასრულების შემდეგაც კურსდამთავრებულებს ენიჭებათ შესაბამისი საფეხურის პრესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი საფეხურის პროფესიული დიპლომი.

საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა: კოლეჯის მისიაა მოამზადოს პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული პროფესიონალი კადრები, საზოგადოების უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური, მაღალი ზნეობრივი და მორალური ფასეულობების მქონე ადამიანური რესურსებით, რაც ხელს შეუწყობს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობას, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და მის წარმატებულ საერთაშორისო ინტეგრაციას.

დაწესებულების მიზანია: რეგიონის შრომისბაზრის მოთხოვნათა ანალიზის მიხედვით სპეციალისტთა მომზადება რეგიონის სტრუქტურული ერთეულებისათვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, მოსამზადებელი პროფესიების შერჩევა ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნათა საფუძველზე, თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელება. მოკლევადიანი პროფესიული განათლების პროგრამებით წარმოებაში დასაქმებულ პირთა მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, თანამშრომლობა სხვა პროფესიულ კოლეჯებთან და დაწესებულებებთან. კოლეჯის ამოცანაა დაამკვიდროს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, შექმნას უსაფრთხო გარემო, შესძინოს სტუდენტებს საჭირო ცოდნა და უნარები, მუდმივად იზრუნოს პედაგოგების ხარისხობრივ ზრდაზე, იყოს კონკურენტუნარიანი.

მთავარი ფასეულობები

- აზრის გამოხატვის თავისუფლება
- პიროვნების დისკრიმინაციის დაუშვებლობა
- პროფესიონალიზმი

საზოგადოებრივი კოლეჯის ხედვაა იყოს ერთერთი ყველაზე დიდი და მძლავრი პროფესიული სასწავლო დაწესებულება საქართველოში, მისი კურსდამთავრებული გახდეს უპირატესი არჩევანი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. ხელი შეეწყოს კურსდამთავრებულთა მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრირებას და წარმატებით დამკვიდრებას.

კოლეჯის სტრატეგიული სლოგანია: „თქვენი წარმატება ჩვენი მისიაა!“

საზოგადოებრივი კოლეჯის ღირებულებებია: გუნდური სულისკვეთება, მიზანსწრაფვა, ინოვაცია.

გუნდური სულისკვეთება – მივაღწიოთ განსაკუთრებულ შედეგებს, როგორც ერთიანმა,

შეკრულმა და უკომპრომისო გუნდმა.

მიზანსწრაფვა – ვიყოთ პროაქტიურები, შედეგზე ორიენტირებულები და მუდმივად მოწოდების სიმაღლეზე.

ინოვაცია – ვიაზროვნოთ არაორდინარულად, მუდმივად ვეცადოთ შევცვალოთ არსებული და წარვადგინოთ ახალი იდეები.

შინაარსი:

კოლეჯის მიერ განხორციელებული და განსახორციელებელი პროგრამები:

1. დურგალი
2. ბუღალტერი
3. აგრარული ტექნიკის მექანიკოსი
4. მეფილე-მომპირკეთებელი
5. სტილისტი(ქალი,მამაკაცი)
6. ელექტრიკოსი
7. კონდიტერი
8. შემდუღებელი
9. ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი
10. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი
11. მცენერებისდამამზადებელი(სამკურნალო არომატული)
12. სარესტორნო საქმის მწარმოებელი
13. მზარეული
14. სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი
15. ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტი (წვრილ ცხოველთა: ძაღლი, კატა და სხვა; სასოფლო- სამეურნეო ცხოველებისა და ფრინველების; ეგზოტიკური ცხოველების,ფრინველებისა და თევზების და სხვა)
16. ავტომობილის ზეინკალი
17. ფერმერი
18. ხის მხატვრული დამუშავება
19. ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)
20. თმის სტილისტი სტილისტი (მოდულური)
21. დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი (მოდულური)
22. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (მოდულური)
23. ინფორმაციული ტექნოლოგიებისმზარდაჭერისსპეციალისტი(მოდულური)
24. ბუღალტერი (მოდულური)
25. მეცხოველეობა (მესაქონლეობა) (დუალური)

საგნობრივი პროგრამების შეფასების სისტემა;

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც აისახება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #121/5 2010წლის 10 დეკემბერი ქ.

თბილისი. “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ამ მუხლის პუნქტით 2 (ა) გათვალისწინებული ერთ–ერთი დადებითი შეფასების მეშვეობით.

შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (ა) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (ბ) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (გ) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71–80%;

ა.დ) (დ) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61–70%;

ა.ე) (ე) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასები 41–50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და რომ ეძლევა შესაძლებლობა, ჩააბაროს დამატებითი გამოცდა დამოუკიდებლად მუშაობის შემდეგ;

ბ.ბ) (F) ჩაჭრა 40% ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია და მითითებულია 100 ქულაში შუალედური და საბოლოო შეფასების წილი.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების ერთჯერადი შეფასება მხოლოდ საბოლოო გამოცდის საფუძველზე.

შეფასება უნდა მოიცავდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) საბოლოო გამოცდის შეფასებას;

საბოლოო გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში გამოცდიდან, სულ მცირე, 10 დღეში პროფესიულ სტუდენტს დამატებითი გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს.

შეფასების ინსტრუმენტები

პრაქტიკული უნარების შეფასების ინსტრუმენტები:

პრაქტიკული სავარჯიშო

დაკვირვება/ დემონსტრირება

პრეზენტაცია

შემეცნებითი უნარების შეფასების ინსტრუმენტები:

ტესტი

კითხვა-პასუხი

ზეპირი გამოცდა

წერითი ნაშრომი

პრეზენტაცია

შეფასების კრიტერიუმები - შუალედური შეფასებები (მიმდინარე შეფასებება და შუალედური გამოცდები); საბოლოო შეფასება - დასკვნითიგამოცდა.

მოდულური პროგრამების შეფასების სისტემა:

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.

5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

დუალურ პროგრამაში პროგრამების შეფასების სისტემა:

კრედიტი მიენიჭება მიღწეული სწავლის შედეგის დადასტურებისას.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებშიც:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტროს მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა მოხდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროგრამები:

დურგალი

1.საგანმანათლებლო პროგრამა: დურგალი 040952

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

1.5. პროგრამის მოცულობა კრედიტებში

60 კრედიტი (1500სთ); თეორიულ კურს ეთმობა 40% ,24 კრედიტი (600 სთ); სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას 60%, 36 კრედიტი (900 სთ). 1 კრედიტი ასახავს 25 საათს.

1.6. სწავლების ხანგრძლივობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა-41 კვირა, თეორიული სწავლების ხანგრძლივობაა -32 კვირა, საწარმოო პრაქტიკის-9 კვირა.(მათ შორის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის საჭირო დრო).

2. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

2.1. მინიმალური განათლება

საბაზო განათლება .

დურგლის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მესამე საფეხურის დურგალი, რომელსაც ექნება ამ სფეროს საფუძვლების ძირითადი ფაქტების, პრინციპების და ზოგადი კონცეფციების ცოდნა და გააცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. შეისწავლოს და შეასრულოს სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით წინასწარ განსაზღვრული დავალებები, ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტების და

მასალების გამოყენებით. შეძლოს სადურგლო ნაკეთობების ესკიზებისა და ნახაზების შედგენას, გაეცნოს ავეჯის ისტორიას და დიზაინს, სატყეო საქონლის სახეებს და მათ ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებს. გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რათა შესძლოს მუშაობა სახელმწიფო ხის დასამუშავებელ საწარმოში, რომელიც დაკავებულია საავეჯო და სამშენებლო ნაკეთობების წარმოებით, ასევე ნებისმიერ კერძო საწარმოსა და უცხოურ ფირმებში. შესაძლებელია თვითდასაქმება და ინდივიდუალური მეწარმეობა. გაეცნოს და დაიცავს შრომის უსაფრთხოების წესებს.

ძირითადი კომპეტენციები:

- კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის
- სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების
- პრობლემის გადაჭრის
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების

ტექნიკური და სპეციფიური კომპონენტები:

- ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების
- სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)
- დეფექტების გამოვლენის
- აღმოჩენილი დაზიანებებისა და სხვა უწყესივრობების აღმოფხვრის
- სამუშაოს შემოწმების (ტესტირება) და დოკუმენტურად გაფორმების
- შესრულებული სამუშაოს ჩაბარების

შედეგი: იცის, რომ პასუხისმგებელია სამუშაოს შესრულებასა და სამუშაო პროცესში კოლეგებთან ურთიერთობაზე.

ზედამხედველობს და აკონტროლებს როგორც არასტანდარტული, ასევე სტანდარტული ოპერაციების შესრულებას და ხშირად მათ კომბინირებას. იცის სადურგლო ნაკეთობის ესკიზისა და მარტივი ნახაზის შედგენა. ფლობს პროფესიულ სიტყვათა მარაგს, ავეჯის ისტორიასა და დიზაინს. *შესწავლილი აქვს სატყეო საქონლის სახეები და მათი ფიზიკურ-მექანიკურ თვისებები. შეუძლია ესკიზებისა და ნახაზების წაკითხვა და გაგება. ხის პროდუქციის დადგენილი ხარისხის განსაზღვრა. მესამე საფეხურის დურგალს პრაქტიკულად უკვე შეუძლია ისეთი სამუშაოების შესრულება, რომელიც მოითხოვს ხის მასალის გაზომვას, ხელის პნევმატური,

მექანიკური და ელექტრო იარაღების გამოყენებას მარტივი სადურგლო ნაკეთობის დასამზადებლად. აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, კმაყოფილია საკუთარი ხელით დამზადებული პროდუქციით.

1. 4. კრედიტების რაოდენობა

დურგალის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 40%-600 სთ ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% -900 სთ. სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. 1 კრედიტი - 25 საათი, სწავლების ხანგრძლივობაა 41 კვირა; კვირეული დატვირთვა შეადგენს 31 საათს.

აგრარული ტექნიკის მექანიკოსი III

აგრარული ტექნიკის მექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

4. პროფესიული პროგრამის მიზნები:

აგრარული ტექნიკის მექანიკოსის მესამე საფეხურის პროგრამის მიზანია, მოამზადოს მესამე საფეხურის აგრარული ტექნიკის მექანიკოსი, რომელსაც

ექნება ამ სფეროს საფუძვლების ცოდნა და გააცნობიერებს მარტივი და რთული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯებს. შეისწავლის

და შეასრულებს დამოუკიდებლობით სტაბილურ გარემოში გარკვეულ, წინასწარ განსაზღვრულ დავალებებს ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტების

და მასალების გამოყენებით. შეძლებს შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას. შეისწავლის სას/სამ. ტექნიკის დაგეგმვას, შესაბამისი მანქანა-დანადგარების

შერჩევას. ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების აგებულებას, საზეინკლო, სახარატო და საშემდუღებლო სამუშაოებს, შესაბამისი სამუშაოების

აზომვას, აგროქიმიას და ნიადაგმცოდნეობას. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების დროს აგრეგატების დარეგულირებას,

მომრაობის წესებს. შეძლებს აგრეგატების კვანძებად დაშლას, მათ დიაგნოსტიკას და შესაბამისი სამუშაოების შესრულებას, ტექნიკურ უზრუნველყოფას

და ნორმატიული პარამეტრების მიხედვით კორექტირებას. პირველად სამედიცინო დახმარებას, ტრაქტორის მართვას. საჭიროა კურსდამთავრებულს გამოუ

მუშავდეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომ გამოიყენოს შემდგომი მუშაობისათვის, რომელიც დასაქმდება აგროკომპანიებში, ფერმერულ და გლეხურ მეურ

ნეობებში და სერვის ცენტრებში, სათბურებში, მეცხოველეობის მიმართულების ფერმებში და სასაწყობო მეურნეობებში.

შეძლებს :

- პირველადი სამედიცინო დახმარებას,
- უსაფრთხოების წესების დაცვას,
- განახორციელოს აგრარული ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობის ზედაპირული გამოკვლევა,

სამუშაოსათვის დამახასიათებელი სხვადასხვა

ელემენტებისა და განსაზღვრული ვალდებულებების თანმიმდევრულ შესრულებას.

- საზეინკლო, სახარატო და საშემდუღებლო სამუშაოებს.
- შესაბამისი სამუშაოების აზომვას, ნიადაგის შესწავლას, მის მოვლას,
- ტრაქტორის მართვას და აგრეგატების დარეგულირებას.
- საჭო ირხელსაწყობებისა და იარაღების ხმარებას.

ძირითადი კომპეტენციები:

- კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის
- სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების
- პრობლემის გადაჭრის
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების

ტექნიკური და სპეციფიური კომპონენტები:

- ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების
- სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)
- დეფექტების გამოვლენის
- აღმოჩენილი დაზიანებებისა და სხვა უწყესივრობების აღმოფხვრის
-
- სამუშაოს შემოწმების (ტესტირება) და დოკუმენტურად გაფორმების

1. 3. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

იცის: ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების აგებულება, მათი დააგრეგატება, ტექნიკის ტექნიკური მომსახურების სამუშაოები, თავისუფლად ხმარობს საჭირო ხელსაწყოებსა და იარაღებს, იცის უსაფრთხოების წესები, საზეინკლო, სახარატო და საშემდუღებლო სამუშაოები. იცის შესაბამისი სამუშაოების აზომვა, ნიადაგმცოდნეობა, აგროქიმია და ნიადაგმცოდნეობა. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულების დროს აგრეგატების დარეგულირება, იცის მოძრაობის წესები. შეუძლია: პირველადი სამედიცინო დახმარება, განახორციელოს აგრარული ტექნიკის ტექნიკური მდგომარეობის ზედაპირული გამოკვლევა, სამუშაოსათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ელემენტებისა და განსაზღვრული ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულება. საზეინკლო, სახარატო და საშემდუღებლო სამუშაოები. შესაბამისი სამუშაოების აზომვა, ნიადაგის შესწავლა, მისი მოვლა, ტრაქტორის მართვა და აგრეგატების დარეგულირება.

1. 4. კრედიტების რაოდენობა

აგრარული ტექნიკის მექანიკოსის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 70 კრედიტს, რომლის 50%--875 სთ ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 50% -875 სთ. სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. 1 კრედიტი - 25 საათი, სწავლების ხანგრძლივობაა 44 კვირა; კვირეული დატვირთვა შეადგენს 31 საათს.

ბუღალტერი III საფეხური

1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ-მონაგარიშე

1. 2. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამა მიზნად ისახავს:

ა) შესძინოს სტუდენტს: ეკონომიკური კატეგორიებისა და სამეწარმეო საქმიანობის ცოდნა; ბუღალტრული აღრიცხვის ცოდნა.

ბ) განუვითაროს სტუდენტს: სამეურნეო ოპერაციის აღქმისა და შეფასების უნარი; სამეურნეო ოპერაციის დოკუმენტირების უნარი; ბუღალტრული დოკუმენტირების დაჯგუფებისა და რეგისტრაციის უნარი; საბუღალტრო რეგისტრებში სამეურნეო ოპერაციის ასახვის უნარი; ბუღალტრული ანგარიშების დახურვის უნარი; საცდელი ბალანსის შედგენის უნარი; დანახარჯების კლასიფიკაციის, პერიოდიზაციისა და თვითღირებულების კალკულაციის უნარი; კომპიუტერული ბუღალტრული პროგრამის გამოყენების უნარ-ჩვევა. ბუღალტრის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეეძლება დასაქმდეს ბიზნესში აქვს სამეურნეო ოპერაციებისა და დოკუმენტაციის ანგარიშსწორების, ფინანსური ანგარიშგების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშ წარმოების, საგადასახადო სისტემის ზოგადი პრინციპებისა და პროცესების ცოდნა. შეუძლია: შეასრულოს გამოთვლითი სამუშაოები/ ამოცანები კალკულატორის გამოყენებით, ასევე ციფრული მონაცემების გადატანა და შეყვანა; სამეურნეო ოპერაციების ჩაწერა მარტივი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით; მონაცემების შეგროვება, დაჯგუფება და მათი ანალიზი; ფულადი ნაკადების, გაყიდვების და შესყიდვების რეგისტრაცია.

1. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

ფინანსური ანგარიშგების დაზუსტების საჭიროების შემთხვევაში იძლევა სათანადო ახსნა- განმარტებას; შეუძლია ელექტრონული ცხრილების გამოყენებით დოკუმენტის შექმნა, გამოთვლების ჩატარებისას მათემატიკური და ლოგიკური ფორმულების გამოყენება; შეუძლია უცხოურ ენაზე საბუღალტრო საქმიანობასთან დაკავშირებული ლიტერატურის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენება. ასევე ფლობს უცხოურ ენას საჭირო კომპიუტერული პროგრამებში სამუშაოდ.

1. 4. კრედიტების რაოდენობა

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 45 კრედიტს (1125 საათი), 49% (525 სთ) ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას, ხოლო 51% (600სთ)- თეორიულ კომპონენტს. 1 კრედიტი - 25 საათი, სწავლების ხანგრძლივობაა 32 კვირა; კვირეული დატვირთვა შეადგენს 30 საათს.

ელექტრიკოსი III

1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

1. 2. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

მესამე საფეხურის ელექტრიკოსი შეისწავლოს: ელექტრიკოსის სპეციალობასთან დაკავშირებული შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, შეარჩიოს, დაამონტაჟოს, გამართოს და შეამოწმოს ელ. დანადგარი, გამტარი სისტემები და აქსესუარები, შეასრულოს ელ. გაყვანილობისათვის საჭირო სამუშაოები, აღმოაჩინოს და აღმოფხვრას გაუმართაობა. შეისწავლოს საკაბელო ხაზების მოწყობილობები და მონტაჟი. კაბელის გამტარობის შემოწმება ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. მოახდინოს რესურსების რაციონალური განაწილება. უნდა იცოდეს შრომის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა გაუწიოს მის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა თანამშრომელს. მესამე საფეხურის ელექტრიკოსმა შეძლოს იმუშაოს: მშენებლობის, მრეწველობის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის სფეროში. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულები ფლობენ შემდეგ კომპეტენციებს:

ძირითადი კომპეტენციები:

- კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის
- სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების
- პრობლემის გადაჭრის
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების
- ფიზიკური ამტანობა
- სიფრთხილე
- პასუხისმგებლობა

ტექნიკური და სპეციფიური კომპონენტები:

- ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების
- სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)
- დეფექტების გამოვლენის
- დემონტაჟის განხორციელების
- აღმოჩენილი დაზიანებებისა და სხვა უწყესივრობების აღმოფხვრის
- მონტაჟის განხორციელების
- სამუშაოს შემოწმების (ტესტირება) და დოკუმენტურად გაფორმების
- შესრულებული სამუშაოს ჩაბარების

სტუდენტებს ასევე გამოუმუშავდებათ კრიტიკული, ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნების უნარები. ისინი შეძლებენ

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას .

1. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

აქვს ელექტროდანადგარების სამონტაჟო, სარემონტო და საექსპლუატაციო და პრაქტიკული სამუშაოებისათვის დამახასიათებელი ძირითადი პროცესების თეორიული ცოდნა. აცნობიერებს მათ მნიშვნელობას შეუძლია ელექტროენერგეტიკული მოწყობილობებისა და დანადგარების ცალკეული დეტალისა და კვანძის სამონტაჟო და საექსპლუატაციო სამუშაოების შესრულება დამოუკიდებლად წინასწარ განსაზღვრული დავალებებით ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით. იგი ზედამხედველობს და აკონტროლებს შრომით ოპერაციებს. შეუძლია ელექტრული და ელექტრონული მოწყობილობების და დანადგარების მონტაჟისა და ექსპლოატაციის დროს წამოჭრილი ლოკალური ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტა დამოუკიდებლად, იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს.

1. 4. კრედიტების რაოდენობა

ელექტრიკოსის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 40%-600 სთ ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% -900 სთ. სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. 1 კრედიტი - 25 საათი, სწავლების ხანგრძლივობაა 41 კვირა; კვირეული დატვირთვა შეადგენს 31 საათს.

კონდიტერი III

1. 1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

კონდიტერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

1. 2. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონდიტერი, რომელსაც ექნება სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა; გააცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს; შეუძლია მენიუსა და რეცეპტურის საფუძველზე, სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრისა და ტექნოლოგიური ბარათის გამოყენებით სხვადასხვა სახის პურისა და ფუნთუშეულის, კრემიანი და უკრემო საკონდიტრო ნაწარმის მომზადება და ორიგინალური გაფორმება, თანამედროვე მანქანა-დანადგარების უსაფრთხო გამოყენება და მოვლა. განუვითარებს შემდეგ კომპეტენციებს:

ძირითადი კომპეტენციები:

- კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის
- სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების
- პრობლემის გადაჭრის
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების

ტექნიკური და სპეციფიკური კომპონენტები:

- ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების
- სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)
- დეფექტების გამოვლინების და მათი აღმოფხვრის გზების
- სამუშაოს შემოწმების (ტესტირება) და დოკუმენტურად გაფორმების

3. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი :

შეუძლია მარტივი დესერტის მენიუს შედგენა ან ამა თუ იმ რესტორნის არსებულ მენიუში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა; ნაწარმის მოსამზადებლად განსაზღვრავს მასალის ოდენობას და ღირებულებას; მომზადების პროცესში ამოწმებს მზა ნაწარმის ხარისხს, ზომასა და ნორმას; იყენებს თანამედროვე მანქანა-დანადგარებს და ინსტრუმენტებს; აფორმებს ტკბილეულსა და დესერტებს მიზანპლასის კანონების დაცვით; იყენებს შემოქმედებითობას - შეუძლია საკონდიტრო ნაწარმის ორიგინალური გაფორმება; საკონდიტრო მასალის მიღება და დაბინავება; აწონვა-გაზომვის შემოწმებების ჩატარება;

მარტივი ხარჯთაღრიცხვის წარმოება ნაწარმის თვითღირებულების გამოთვლა; სამუშაოს მოცულობის,

დროის, ხარჯის, რესურსების და მასალების განსაზღვრა; ცხოვისას პროდუქციის ფერის, ტემპერატურისა და ტენიანობის დარეგულირება სასურველი ხარისხის ნაწარმის მისაღებად. უნდა შეძლოს პრობლემის მოგვარების გზების მოძიება;

უნდა შეეძლოს მომხმარებელთა საჩივრების გათვალისწინება და მათი მოთხოვნების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება; მოაგვაროს ტექნიკური პრობლემები; უნდა შეეძლოს შესასრულებელ სამუშაოთა პრიორიტეტულობის განსაზღვრა და ხელმძღვანელებთან ერთად გადაწყვეტილებების მიღება;

მცირე ზომის კვების ობიექტებში, სადაც არ არის შეფი, დამოუკიდებლად ან რესტორნის მენეჯერთან ერთად მიიღოს ყველა გადაწყვეტილება; უნდა გააჩნდეს საკუთარი სამუშაოს ორგანიზების და სწორედ დაგეგმვის უნარი; უნდა შეძლოს როგორც გუნდში, ასევე დამოუკიდებლად მუშაობა; უნდა შეეძლოს სამუშაოსთვის დამახასიათებელი განსაზღვრული ვალდებულებების თანმიმდევრული შესრულება; ამოცანების გადასაწყვეტად გარკვეული მიდგომების შემუშავება და მიღებული შედეგების ანალიზი;

1. 4. კრედიტების რაოდენობა:

კონდიტერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 90 კრედიტს, რომლის 40%-900 სთ ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% – 1350 სთ სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. 1 კრედიტი - 25 საათი, სწავლების ხანგრძლივობაა 60 კვირა; კვირეული დატვირთვა შეადგენს 31 საათს.

მეფილე-მომპირკეთებლის III

1. 1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

1. 2. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, მოამზადოს მესამე საფეხურის მეფილე-მომპირკეთებელი რომელსაც ექნება ამ სფეროს ფაქტობრივ გარემოზე დამყარებული ზოგადი ცოდნა და გააცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. შეისწავლის შენობის ნაწილებს და სამშენებლო ნახაზებს, მოსაპირკეთებელი ფილების სახეებს, ინსტრუმენტებს, მექანიზმებს, მოწყობილობებს და იმ სხვა სამუშაოთა შესრულების ყველა დეტალს რომელიც საჭიროა მოპირკეთებითი სამუშაოებისათვის, რომელსაც გამოიყენებს შემდგომი მუშაობისათვის ნებისმიერ სანშენებლო ობიექტებზე .

ძირითადი კომპეტენციები:

- კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის
- სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების
- პრობლემის გადაჭრის
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების

ტექნიკური და სპეციფიკური კომპონენტები:

- ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების
- სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)
- დეფექტების გამოვლენის
- აღმოჩენილი უწყესივრობების აღმოფხვრის
- სამუშაოს შემოწმების (ტესტირება) და დოკუმენტურად გაფორმების
- შესრულებული სამუშაოს ჩაბარების

3. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები. შეუძლია შემდეგი სამუშაოების შესრულება: შრომის უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დაცვა; სამუ-

შაო მონაწილეობის გამოყოფა და სამუშაო ადგილის ორგანიზაცია; საჭირო მექანიზმებისა და ინსტრუმენტების მომზადება მუშაობისთვის; ხარაჩოებისა და ფიცარნაგების მომზადება; მოსაპირკეთებელი ზედაპირების დასარყვა, მონიშვნა, შუქურების დაყენება; დურაბებისა და ფილებიდ მომზადება მოპირკეთებისთვის; ხელოვნური ფილების დაგება ინტერიერში; ვერტიკალურ

ზედაპირზე; იატაკზე ცემენტ-ქვიშის მოჭიმვის მოწყობა; იატაკების მოწყობა ხელოვნური და ბუნებრივი ქვის მასალებით; ქანობიანი იატაკების მოწყობა; ფასადების მოპირკეთება ხელოვნური და ბუნებრივი ქვის მასალებით; რბილი იატაკების მოწყობა; დაზიანებული ზედაპირების აღდგენა-რესტავრაცია; რთული მოხაზულობის ზედაპირების მოპირკეთება; მოპირკეთება დეკორატიული ფილებით; შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი.

4. კრედიტების რაოდენობა

მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 45 კრედიტს, აქედან 51 % ე.ი.600 სთ. ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 49% ე.ი.300 სთ. სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას.1 კრედიტი - 25 საათი, სწავლების ხანგრძლივობაა 32 კვირა; კვირული დატვირთვა შეადგენს 30 საათს.

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი III საფეხური

1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

1. 2. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, მოამზადოს მესამე საფეხურის სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, რომელსაც ექნება ამ სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესების და ზოგადი კონცეპციების ცოდნა. გადადგას გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელი ნაბიჯები. შეისწავლოს საწარმოებში მანქანა დანადგარების დანიშნულება, სამუშაოს შესასრულებლად მათი მომზადება. დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტების და მასალების გამოყენებით. შეისწავლოს ნაწარმის ცალკეული კვანძებისა და დეტალების ტექნიკური დამუშავება, კონკრეტული სახის ნაწარმის ან კვანძისთვის მეტნაკლებად რაციონალური დამუშავების

ხერხები, შეისწავლოს საბაზო დონეზე შრომის უსაფრთხოება. შეისწავლოს ადამიანის ფიგურის ზომითი მახასიათებლები და ფიგურის ზომებიდან ტანსაცმელზე გადასვლის პრინციპები, ტანსაცმლის ზომები და ფორმა, სილუეტური, კონსტრუქციული, დეკორატიული ხაზების დახასიათება, ტანსაცმლის ზედაპირის დანაწევრების სქემები, ფორმის მთლიანობის უზრუნველყოფელი ტექნიკური საშუალებები, ბაზისური ფუძის თარგის შერჩევა-გამოყენება, დაზუსტება და მოდელოვანი განსაკუთრებულობების დატანა, მასალაში შესრულება, ტექნიკური დამუშავება.

ძირითადი კომპეტენციები:

- კომუნიკაციის, გუნდური მუშაობა
- საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება
- პრობლემის გადაჭრა
- ჯანდაცვა და უსაფრთხოება

ტექნიკური და სპეციფიური კომპონენტები:

- ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენება
- სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზება (მომზადება, მოწყობა)
- დეფექტების გამოვლენა
- აღმოჩენილი უწყესივრობების აღმოფხვრა
- სამუშაოს შემოწმების (ტესტირება) და დოკუმენტურად გაფორმება
- შესრულებული სამუშაოს ჩაბარება

1. 3. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

გაცნობიერებული აქვს ინდივიდუალური სამკერვალო ნაწარმის ხელოსნის პროფესიული მიზნები და ამოცანები, აქვს ინდ. კერვის

თანამედროვე მეთოდების ცოდნა, რაც შეუძლია პრაქტიკულად განახორციელოს ინდივიდუალური სამკერვალო ნაწარმის შესრულების დროს. იცის ადამიანის ფიგურის ზომითი მახასიათებლები და ფიგურის ზომებიდან ტანსაცმელზე გადასვლის პრინციპები, ტანსაცმლის ზომები და ფორმა, სილუეტური, კონსტრუქციული, დეკორატიული ხაზების დახასიათება, ტანსაცმლის ზედაპირის დანაწევრების სქემები, ფორმის მთლიანობის უზრუნველყოფელი ტექნიკური საშუალებები, იცის ბაზისური ფუძის თარგის შერჩევა-გამოყენება, დაზუსტება და მოდელური განსაკუთრებულობების დატანა, მასალაში შესრულება, ტექნიკური დამუშავება. შეუძლია პრაქტიკაში გამოიყენოს კერვის სპეციფიკური თეორიული ცოდნისა და ტექნიკური უნარ-ჩვევების ფართო სპექტრი, ან მოდელირებული თარგის მიხედვით მასალაში შესრულებისათვის საჭირო მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით დამოუკიდებლად შეასრულოს ნაწარმი (გამოჭრა-კერვა) და მიიყვანოს დასრულებულ სახემდე ინდ. მოთხოვნის შესაბამისად.

1. 4. კრედიტების რაოდენობა

სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მსამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, აქედან 50% -750 სთ. ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 50%-750 სთ. სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. 1 კრედიტი - 25 საათი, სწავლების ხანგრძლივობაა 41 კვირა; კვირეული დატვირთვა შეადგენს 30 საათს.

მზარეული II

1. 1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

1. 2. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, მოამზადოს მეორე საფეხურის მზარეული, რომელსაც შეეძლება სამზარეულოს ტექნიკის, მანქანა-დანადგარების და სამუშაო ინსტრუმენტების უსაფრთხო და დანიშნულებისამებრ გამოყენება და მათი მოვლა; პროდუქტების დამუშავება - კერძისათვის საკვები მასალის სათანადო მომზადება გასუფთავების, დაჭრის, დაქუცმაცების,

გატარების ან დაფქვის გზით, კერძისათვის საჭირო მასალის თბური დამუშავება.

ქართული სამზარეულოს ცივი და ცხელი კერძების მომზადება მზა რეცეპტურისა და ტექნოლოგიური ბარათის საფუძველზე; ცომეულის ძირითადი სახეობების მომზადების მეთოდები; ქართული დესერტებისა და ხილის ასორტების მომზადება და შექმნის შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, გარკვეული დამოუკიდებლობით ნაციონალური სამზარეულოს კერძების, აგრეთვე ზოგიერთი პოპულარული ევროპული კერძის მომზადება და გაფორმება.

ძირითადი კომპეტენციები:

- კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის
- სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების
- პრობლემის გადაჭრის
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების

ტექნიკური და სპეციფიური კომპონენტები:

- ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების
- სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)
- დეფექტების გამოვლინების და მათი აღმოფხვრის გზების
- შესრულებული სამუშაოს ჩაბარების

1. 3. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

შეუძლია სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს მასზე დაკისრებული სამუშაო. შეუძლია: სამუშაო

არეალის მომზადება და ორგანიზება, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით სამუშაო არეალის დასუფთავება; სამზარეულოს ტექნიკის, მანქანა-დანადგარების და სამუშაო ინსტრუმენტების უსაფრთხო და დანიშნულებისამებრ გამოყენება და მათი მოვლა; პროდუქტების დამუშავება - კერძისათვის საკვები მასალის სათანადო მომზადება გასუფთავების, დაჭრის,

დაქუცმაცების, გატარების ან დაფქვის გზით, კერძისათვის საჭირო მასალის თბური დამუშავება.

მენიუსა და რეცეპტურის საფუძველზე, ტექნოლოგიური ბარათის გამოყენებით მზარეულის და/ან შეფ მზარეულის უშუალო ხელმძღვანელობით შეუძლია ნახევარფაბრიკატებისა და კერძის ცალკეული მარტივი კომპონენტების მომზადება; მასალის, ნახევარფაბრიკატების და მზაკერძების შენახვა ტემპერატურული ნორმების ზუსტი დაცვით. კერძების მომზადების პროცესში

ატარებს ტესტირებას, იყენებს გასინჯვისა და გემოს შერჩევის მეთოდებს; აწარმოებს მომზადებული საკვების გაცემას დადგენილი ზღვრული ნორმების მიხედვით; შეუძლია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

შეუძლია მზარეულის, შეფ-მზარეულისა და სხვა პერსონალის მითითებების და შენიშვნების მიღება, გათვალისწინება და სათანადო დასკვნის გამოტანა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით.

1. 4. კრედიტების რაოდენობა :

მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 45 კრედიტს, რომლის 40% -450 სთ ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% – 675 სთ სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. 1 კრედიტი - 25 საათი, სწავლების ხანგრძლივობაა 32 კვირა; კვირეული დატვირთვა შეადგენს 30 საათს.

მზარეული III

1. 1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მზარეულის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

1. 2. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, მოამზადოს მზარეული, რომელსაც ექნება სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, გააცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს, შეძლებს გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები

ძირითადი კომპეტენციები:

- კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის
- სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების
- პრობლემის გადაჭრის
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების

ტექნიკური და სპეციფიური კომპონენტები:

- ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების
- სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)
- დეფექტების გამოვლინების და მათი აღმოფხვრის გზების
- შესრულებული სამუშაოს ჩაბარების

1. 3. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

შუძლია ყველანაირი საკვები პროდუქტის ადგილობრივი და უცხოური სახეობების ხარისხიანი შერჩევა, მათი მიღება,

აღრიცხვა, პირველადი დამუშავება და დაბინავება ტემპერატურული ნორმების გათვალისწინებით; პირველადი აღრიცხვიანობის დოკუმენტაციის წარმოება; მენიუსა და რეცეპტურის საფუძველზე, ტექნოლოგიური ბარათის გამოყენებით, მზარეულისა და შეფ-მზარეულის მინიმალური კონტროლის ქვეშ, ან მის გარეშე დამოუკიდებლად ამზადებს ნაციონალური და მსოფლიო სამზარეულოს კერძებს და აფორმებს მას. შეუძლია მარტივი მენიუს შედგენა ან ამა თუ იმ რესტორნის არსებულ მენიუში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა; შეუძლია შექმნას ახალი რეცეპტი; კერძების მოსამზადებლად

განსაზღვრავს მასალის ოდენობას და ღირებულებას; მომზადების პროცესში ამოწმებს კერძის ხარისხს, ზომასა და ნორმას; იყენებს თანამედროვე მანქანა-დანადგარებს და ინსტრუმენტებს; აფორმებს კერძს მიზანპლასის კანონების დაცვით; იყენებს შემოქმედებითობას - შეუძლია კერძის ორიგინალური გაფორმება; ახალი იმპროვიზირებული რეცეპტის შექმნა;

ამზადებს კერძებს კვების სხვადასხვა ობიექტებისა და ღონისძიებებისათვის მათი სპეციფიკის და მომხმარებლის მოთხოვნის გათვალისწინებით; შეუძლია სარესტორნო მომსახურება და სერვისი.

1. 4. კრედიტების რაოდენობა :

მზარეულის (მზარეული) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 45 კრედიტს, რომლის 40% -450 სთ ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 60% – 675 სთ სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. 1 კრედიტი - 25 საათი, სწავლების ხანგრძლივობაა 32 კვირა; კვირეული დატვირთვა შეადგენს 30 საათს.

მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული) III

1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო არომატული) მესამე საფეხურის პროგრამის მიზანია, მოამზადოს მცენარეების დამამზადებელი(სამკურნალო, არომატული), რომელსაც ექნება ამ სფეროს საფუძვლების ცოდნა და გააცნობიერებს მარტივ და რთულ ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელ ნაბიჯებს . კერძოდ, ეცოდინება სამკურნალო მცენარეების მოვლა-მოყვანა, შეგროვება და გადამუშავების ტექნოლოგიები სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით. ამ პროფესიის შესასწავლად უნდა შეასრულოს განსაზღვრული დავალებები, შეისწავლოს ძირითადი მეთოდები მათი მოვლისა და მოყვანის , შესაბამისი ინსტრუმენტების, მასალების გამოყენებითა და უსაფრთხოების წესების დაცვით. ამ პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სააფთიაქო ქსელში, ფერმერულ მეურნეობაში, ააწყოს საკუთარი ბიზნესი , ითანამშრომლოს ფიტოაფთიაქების ქსელთან. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულები ფლობენ შემდეგ კომპეტენციებს:

ძირითადი კომპეტენციები:

- კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის
- სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების
- პრობლემის გადაჭრის
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების
- ფიზიკური ამტანობა
- სიფრთხილე
- პასუხისმგებლობა

ტექნიკური და სპეციფიური კომპონენტები:

- ტექნიკური და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენების
- სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)
- დეფექტების გამოვლენის
- აღმოჩენილი დაზიანებებისა და სხვა უწყესივრობების აღმოფხვრის
- სამუშაოს შემოწმების (ტესტირება) და დოკუმენტურად გაფორმების
- შესრულებული სამუშაოს ჩაბარების

1. 3. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

იცის სამკურნალო და არომატული მცენარეების ბოტანიკური აგებულება, სამკურნალო მცენარეების ქიმიური შემადგენლობა, მცენარეთა კულტივირებისათვის ნიადაგის შერჩევა და დამუშავების წესები. მცენარეთა თესვის, გადარგვის და აღების ვადები, სამკ. მცენარეული ნედლეულის შენახვის წესები. შეუძლია გააცნობიეროს როგორც მარტივი ასევე რთული ოპერაციების შესრულების

პრინციპები.შეუძლია სტაბილურ გარემოში დამოუკიდებლად შეასრულოს შესაბამისი სამუშაოები,შემენილი ცოდნის საფუძველზე.

შეუძლია დამოუკიდებლად სამკურნალო და არომატულ მცენარეთა ცნობა, მოყვანა და შეგროვება. და ასევე შეუძლია ველურად მოზარდი განადგურების პირას მისული სამკურნალო და არომატული მცენარეების კულტურაში შემოყვანა და გამრავლება. მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია: ნიადაგის დამუშავება, სამკ. მცენარეთა თესვა, სასუქებით გამდიდრება და მელიორაცია, სამკ. მცენარეთა მოყვანის წესები, ასევე მათი ალების, გასუფთავების, შრობის და დახარისხების ტექნოლოგია სტანდარტების მიხედვით.

1. 4. კრედიტების რაოდენობა

მცენარეების დამამზადებლის(სამკურნალო, არომატული) მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს, რომლის 50%-750 სთ ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 50% -750 სთ. სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას.

1 კრედიტი - 25 საათი, სწავლების ხანგრძლივობაა 41 კვირა; კვირეული დატვირთვა შეადგენს 30 საათს.

სარესტორნო საქმისმწარმოებელი III

1. 1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მესამე საფეხურის სარესტორნო საქმის მწარმოებლის პროფესიული კვალიფიკაცია

1. 2. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს სარესტორნო საქმის სპეციალისტი, რომელსაც შეეძლება სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებისა და ბარების ყოველდღიური გამართული მუშაობის ორგანიზება;სანიტარულ-ჰიგიენური და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა;სურსათის უვნებლობის პრინციპების დაცვა;ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების, ცხელი სასმელების შერჩევა, შეთავაზება და მიწოდება; რეალიზაციისა და მარკეტინგის პრინციპების გამოყენება; ანგარიშსწორება,ხარჯთაღრიცხვა და კალკულაცია; სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.პროგრამა შედგება თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსებისაგან.პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს შეეძლებათ:

- ინსტრუქციების დაცვით რესტორნის დარბაზისა და სამუშაო არეალის მომზადება,
- რესტორნის ჭურჭლის, ჭიქების, დანა-ჩაგლის და სხვა აქსესუარების დანიშნულებისამებრ მოხმარება;
- სერვირება და მომსახურება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე კვების განსხვავებული დროის მონაკვეთებისათვის (საუზმე, ლანჩი, სადილი, ვახშამი);
- მომხმარებლის მომსახურება;
- რამოდენიმე კაცისაგან შემდგარი გუნდის ზედამხედველობა და მართვა;
- კომფლიქტური სიტუაციების მართვა;
- რესტორნის/ბარის მართვის პროგრამული სისტემის, “თაჩ კომპიუტერი“-ს გამოყენება;
- ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე როგორც ქართულ ასევე უცხო ენაზე.

კურსდამთავრებული პროფესიისათვის საჭირო ცოდნის გარდა სწავლის პროცესში გამოიმუშავენ სარესტორნო საქმის სპეციალისტისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს. პროგრამის დასრულების შემდეგ მათ მუშაობა შეეძლებათ სერვისის სფეროს უმცროსი რგოლის ზედამხედველებად სხვადასხვა ტიპის კვების ობიექტებში (კაფეში, ბარში, რესორანში, სასტუმროში, სწრაფი კვების ობიექტებში და ნებისმიერი რესტორნის ტიპის დაწესებულებებში)

უნდა ფლობდეს ძირითად კომპეტენციებს:

- კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის
- სინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების
- პრობლემის გადაჭრის
- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების

ტექნიკური და სპეციფიურ კომპონენტებს:

- სამუშაო გარემოს სწორად ორგანიზების (მომზადება, მოწყობა)
 - დეფექტების გამოვლენის
 - აღმოჩენილი უწყესივრობების აღმოფხვრის
 - შესრულებული სამუშაოს ჩაბარების
1. 3. საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი

შეუძლია:

- ინსტრუქციების დაცვით რესტორნის დარბაზისა და სამუშაო არეალის მომზადება, დადგენილი წესების მიხედვით ავეჯის განლაგება;

- დარბაზის დალაგება და დასუფთავება; უსაფრთხო სამუშაო გარემოს ორგანიზება: ვენტილაციის რეჟიმის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა; პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; რესტორნის დანადგარების, აპარატების და ინსტრუმენტების დანიშნულებისამებრ გამოყენება, მოვლა და შენახვა; რესტორნის სუფრებისა და ხელსახოცების გამოყენება, მათი მოვლა და შენახვა; რესტორნის ჭურჭლის, ჭიქების, დანა-ჩანგლის და სხვა აქსესუარების დანიშნულებისამებრ მოხმარება, მათი წინასწარი მომზადება, მოვლა და შენახვა; სარესტორნო მომსახურება - "ა ლა კარტი"; საუზმის, სადილისა და ვახშმის მომსახურება; სწრაფი კვების ობიექტების მომსახურება;

მომხმარებლის დახვედრა, მიღება და მაგიდასთან მიცილება; მენიუს წარდგენა, საფირმო და დღის კერძების გაცნობა, აპერეტივის შეთავაზება; ღვინის ბარათის გაცნობა, ღვინის კონსულტირება; სტუმრის კონსულტირება კერძებისა და სასმელების შერჩევაში, მენიუს შემადგენლობის შესახებ სტუმრის კითხვებზე პასუხის გაცემა (კერძის შემადგენლობა, მომზადების მეთოდი და სხვ.); შეკვეთის მიღება, გაფორმება და სამზარეულოში გადაცემა; შეკვეთის შესაბამისად მაგიდის სერვირება; სუფრაზე კერძების დადგენილი თანმიმდევრობით მიტანა და შესაბამისად მაგიდის სერვირების განახლება; ქვითრის სტუმრისათვის წარდგენა; ხურდის დაბრუნება; ერთდროულად რამოდენიმე მაგიდის მომსახურება;

- მაგიდის ალაგება წესების დაცვით და მაგიდის მომზადება ახალი სტუმრის მისაღებად; რესტორნის რეკლამირება და სტუმართა მოზიდვა.

სერვირება და მომსახურება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე:

ბუფეტის მომსახურება; შვედური მაგიდის მომსახურება; ფურშეტების მომსახურება; ბანკეტების, წვეულებების, ვიპ სტუმრების,

ოფიციალური და დიპლომატიური მიღებების მომსახურება; კოკტიელების სადამოს მომსახურება; საქმიანი სადილის მომსახურება; სადღესასწაულო წვეულებების მომსახურება; ყავის შესვენებაზე მომსახურება; კორპორატიული სადილების, ლანჩების და წვეულებების მომსახურება; გასვლითი ღონისძიებების მომსახურება; სასტუმროებში საუზმის და ბრანჩის მომზადება და მომსახურება; სასტუმრო ოთახებში სასმელებითა და კერძებით მომსახურება; შეუძლია ფორლეგენით მომსახურება. სასმელების ჩამოსხმა, ჩამოტარება და მირთმევა სხვადასხვა წესით. შეუძლია დიდი სასტუმროს კვების ბლოკებში მუშაობა; დარბაზის მომზადება სხვადასხვა ღონისძიებებისათვის: სივრცის მომზადება, ავეჯის განლაგება, სათანადო დიზაინის

მომზადება, სუფრების შერჩევა და სხვ, რაც აუცილებელია ღონისძიებების ჩასატარებლად. ინვენტარიზაციის ჩატარება; რთული მენიუს პირობებში მუშაობა. რესტორნის რეკლამირება და მომხმარებელთა მოზიდვა; პროდუქტის სათანადოდ შეთავაზება და გაყიდვა; ალკოჰოლური სასმელების კონსულტირება და მირთმევა; ლუდის ჩამოსხმა და მირთმევა; ლუდის ჩამოსასხმელი აპარატურის გამოყენება ლიქიორების მირთმევა;

ჩაის და ყავის მომზადება; ყავის აპარატების გამოყენება. ანგარიშსწორება, ხარჯთაღრიცხვა და კალკულაცია ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაციების შესრულება;

საკრედიტო ბარათების მოხმარება, გადარიცხვით და ანგარიშსწორების სხვა ოპერაციებით მუშაობა; საბანკო ტერმინალების გამოყენება;

რესტორნის/ბარის მართვის პროგრამული სისტემა, "თაჩ კომპიუტერი"-ს და ქვითრის ამოსაბეჭდი თერმული პრინტერის მოხმარება;

სალარო აპარატის გამოყენება; მომხმარებლისათვის მისაღები გადახდის ფორმების კონსულტირება; სასმელით და საკვებით მომსახურების საფასურის მომხმარებლის ანგარიშზე დარიცხვა; დღის განმავლობაში შემოსული ქვითრების მიხედვით შემოსული თანხის დაანგარიშება; შემოსავლების დაჯამება, ანგარიშის მომზადება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების მითითებით და შესაბამისი პირისათვის გადაბარება; ცვლის დახურვის წარმოება.

1. 4. კრედიტების რაოდენობა

სარესტორნო საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა მოიცავს 45 კრედიტს. აქედან, კრედიტების 60 %- 675 სთ ეთმობა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას, ხოლო 40 %-450 სთ კი თეორიულ სწავლებას. კურსდამთავრებულს ენიჭება მესამე საფეხურის სარესტორნო საქმისმწარმოებლის კვალიფიკაცია, რაც დასტურდება პროფესიული დიპლომით. 1 კრედიტი - 25 საათი, სწავლების ხანგრძლივობაა 32 კვირა; კვირეული დატვირთვა შეადგენს 30 საათს.

სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი III

1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

